თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები იმერეთში

მე-3 გვერდზე

№15 (777) 30 ოქტომბერი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

ქუთაისს უკვე ახალი საკრებულო ჰყავს

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქუთაისს უკვე ჰყავს ახალი საკრებულოს შემადგენლობა, რომელსაც ქუთაისის N59-ე საოლქო საარჩევნო კომისია, კანონის თანახმად, დეპუტატის მანდატებს არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-16 დღეს, 6 ნოემბერს გადასცემს.

"ქართულ ოცნება"-ს ქუთაისის მე-6 მოწვევის საკრებულოში უმრავლეობა კვლავ ექნება, მას 19 დეპუტატი ეყოლება, 10 მაჟორიტარი და 9 პარტიული სიიდან.

მეორე ადგილზე გასულ "ნაციონალურ მოძრაობას" 4 დეპუტატი ეყოლება, ხოლო "ევროპულ საქართველოს" – 2 დეპუტატი.

საბოლოო ჯამში, ქუთაისის საკრებულოს 25 კაციანი შემადგენლობა ასეთია:

მაჟორიტარები "ქართული ოცნებიდან" :

ავტოქარხანის მუნიციპალიტეტი - **მერაბ კვიცარიძე**
ძელქვიანის მუნიციპალიტეტი - **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი**
კახიანოურის მუნიციპალიტეტი - **ელეონორა არჩაია**
საფიჩხიის მუნიციპალიტეტი - **მარეხი ნიჟარაძე**
ვაკისუბნის მუნიციპალიტეტი - **მამუკა რიჟამაძე**
გამარჯვების მუნიციპალიტეტი - **ირაკლი შენგელია**
უქიმერიონის მუნიციპალიტეტი - **ამირან კოპალეიშვილი**
ავტომშენებლის მუნიციპალიტეტი - **იმედა საღინაძე**
ქალაქ-მუზეუმის მუნიციპალიტეტი - **გიორგი ჭეიშვილი**
ნიკეას მუნიციპალიტეტი - **კახა ბოჭორიშვილი**

"ქართული ოცნების" პარტიული სია:

1.ნიკოლოზ ლატარია
2. მაია სიმონიძე
3. რამაზ ჩხიკვაძე
4. ალექსანდრე ახალაძე
5. ოთარ ლორთქიფანიძე
6. ლაშა გვენეტაძე
7. ნანა კოსტავა
8. დავით წულეისკირი
9. ვლასი გარდაფხაძე

"ნაციონალურ მოძრაობის" პარტიული სია:

1. ბესიკ ბრეგაძე
2. გია უკლება
3. ვლადიმერ კლდიაშვილი
4. გრიგოლ შუშანია

"ევროპული საქართველოს" პარტიული სია:

1. დავით გოგისვანიძე
2. მერაბ მეშველიანი

კანონის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების პირველი ტურის შედეგებს 11 ნოემბერს გამოაქვეყნებს. ხოლო მთელ საქართველოში, ახალი მოწვევის საკრებულოებში პირველი სხდომა, ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ, 30-ე დღეს გაიმართება.

რაც შეეხება, ქუთაისის მერის არჩევნებს, შედეგების მიხედვით, პირველ ტურში ქართული ოცნების კანდიდატი, გიორგი ჭიღვარია ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე. ქუთაისელებს მერის საბოლოო არჩევანისთვის მეორე ტურში მონაწილეობა მოუწევთ. თუმცა, როგორც გასულ კვირაში ცნობილი გახდა, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ისინი მეორე ტურში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

„პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა და არ შევდივართ მეორე ტურში. შესაბამისად, ეს ვერდიქტი ახლა ყველა ჩვენგანის აღსასრულებელია, დამოუკიდებლად იმისა, ვინ რას ფიქრობდა სხდომამდე", - განაცხადა მედიასთან ქუთაისის მერობის კანდიდატმა „ნაციონალური მოძრაობიდან“, გრიგოლ ვაშაძემ, - ინსტრუქცია ორგანიზაციის აქტივისტებისგან მივიღე, იმ შესანიშნავი ადამიანებისგან, ჩემი მეგობრებისგან, ვინც შიშველი ხელით იბრძოდა... განახლებული პარტიის პირველი არჩევნები ღირსეულად დავამთავრეთ, ყველას ვაჩვენეთ, რომ რაც არ უნდა ეცადონ, ენმ ქვეყნის ერთადერთი ნამდვილი პარტია იყო, არის და იქნება... ინსტრუქცია შევასრულეთ, იმიტომ რომ გვეყოფა სხვისი დაწერილი წესებით თამაში და ადვილად გამოსაცნობი სვლები"- ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

ამავე საკითხზე კომენტარი გააკეთა ნაციონალების ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გიგა შუშანიამაც, რომელმაც განაცხადა:"ჩვენ არ ვაპირებთ ბიძინა ივანიშვილის და ქართული ოცნების ფარსში მონაწილეობას, მოსალოდნელი დაშინების, შანტაჟის და ამომრჩევლის მოსყიდვის პირობებში. 21 ოქტომბერს არ იყო არჩევნები, არამედ ეს იყო "ქართული ოცნების" და კრიმინალების ერთობლივი სპეცოპერაცია".

თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე "ნაციონალური მოძრაობის" უარს "ქართული ოცნებაში" გამოეხმაურენ და ბრალდებები უარყვეს:

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გუნდმა კიდევ ერთხელ დაანახა საზოგადოებას, რომ ჩვენ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეგვიძლია და ვრჩებით უალტერნატივო ძალად, რომელსაც მოსახლეობა ენდობა. ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ოპონენტების მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს. გაყალბებისა და ძალადობის შემთხვევაში დავდებდით იმ შედეგს, რომელიც ჩვენთვის იქნებოდა სასურველი. არჩევნების მეორე ტური კი არის დასტური იმისა, რომ ჩვენ ვართ ძალა, რომელიც მოსახლეობას საშუალებას აძლევს, საკუთარი არჩევანი თავად გააკეთოს“, - განაცხადა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისი მერობის კანდიდატმა გიორგი ჭიღვარიამ.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მეორე ტური მიმდინარე წლის 15 ნოემბერამდე უნდა გაიმართოს.

ცესკოს ინფორმაციით, "ნაციონალური მოძრაობის" მიერ მერების არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის მიუხედვად, ქუთაისსა და მარტვილში არჩევნების მორიგი რაუნდი მაინც გაიმართება.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მეორე ადგილზე გასული „ ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენებში მაინც იქნებიან წარმოდგენილი.

"საარჩევნო კოდექსის" მიხედვით, კანდიდატს უფლება აქვს, თავისი კანდიდატურა კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 12 დღისა მოხსნას, რისთვისაც მან სათანადო განცხადებით შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს, მაგრამ წესი არჩევნების მეორე ტურზე არ ვრცელდება.

ტატა ჩადუნელი

პრომეთეს მღვიმეში საგამოფენო სივრცე გაიხსნა

2017 წელს პრომეთეს მღვიმეს 148 000-მდე ტურისტი სტუმრობდა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე გრიგალავამ მედიის წარმომადგენლებს პრომეთეს მღვიმეში უმასპინძლა. ვიზიტორთა ცენტრში საგამოფენო სივრცეც მოეწყო. ინფოტური დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით გაიმართა.

მინისტრის მოადგილებ გიორგი ტყაბლაძის დამსახურებაზეც ისაუბრა, რომელიც მღვიმეს 27 წლის მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ უვლიდა. „ის რომ დღეს მღვიმე დაუზიანებელი და ამ ფორმით არის შენარჩუნებული ეს ბატონი გიორგის 27 წლიანი უანგარო შრომის დამსახურებაა, რომელიც მღვიმეს 24 საათის განმავლობაში დარაჯობდა და იცავდა დაზიანებისგან. მისი წვლილი შეუფასებელია ბუნების ამ ძეგლის შენარჩუნებაში.“ აღნიშნა ეკატერინე გრიგალავამ.

პრომეთეს მღვიმის ვიზიტორები იმერეთის მღვიმეების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებას, ინტერაქტიულ რეჟიმში შეძლებენ. ექსპოზიცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით მოეწყო. საგამოფენო სივრცეს საინფორმაციოსთან ერთად, საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციაც ააქვს. დარბაზში გამოფენილია საქართველოს დაცული ტერიტორიების ამსახველი ფოტოები და რუკა. დამონტაჟებულია ინტერაქტიული მონიტორი (ტოუცჰ სცრეენ) საქართველოსა და იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შესახებ. საგამოფენო დარბაზში ასევე გამოფენილია იმერეთის მღვიმეებში აღმოჩენილი ნამარხი ფაუნა; მინერალები, ქვის და ძვლის იარაღები, ცხოველის კბილებზე და ნიჟარებზე დამზადებული სამკაულები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელმა თომა დეკანოიძემ იმ პროექტების პრეზენტაცია გააკეთა, რომელიც უკვე მიმდინარეობს და იგეგმება 2018 წელს. მათ შორის არის კინჩხის წყალვარდნილის ტერიტორია, სადაც ტურისტებს საშუალება ექნებათ საფეხმავლო ბილიკით ჩანჩქერი ნახონ. ასევე, ისაუბრეს 9 თვის ვიზიტორთა სტატისტიკაზე. 2017 წელს, საქართველოს დაცულ ტერიტორიებს რეკორდული რაოდენობის ტურისტი ეწვია. ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 33:-ით გაიზარდა და 856 186 ადამიანი შეადგინა. აქედან 148 000-მდე ტურისტი პრომეთეს მღვიმეს სტუმრობდა.

მარიკა ფაჭარაძე

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

მოპირდაპირედ მდგომი ორი ბლოკირებული რევოლვერის მაკეტი მშვიდობისათვის რომის პაპმარ საფრანგეთის პრეზიდენტმა და ნორვეგიის პრემიერმაც მოიწონეს

სამშვიდობო თემატიკაზე ჩემი მუშაობის შესახებ, საქართველოში უკვე ბევრისთვის ცნობილია, რაც საქართველოს სხვადასხვა მედიასაშუალებით ხშირად გაშუქებულა, მათ შორის - გაზეთ ,,პოსტსკრიპტუმში,, სათაურით: „უტიტულო მშვიდობის ელჩის ქართული სამშვიდობო გზავნილი აფხაზებსა და ოსებს, პარიზის ,,მშვიდობის კედლიდან,,- სადაც საუბარი გახლდათ აღნიშნულ მონუმენტზე, ჩემს მიერ სიტყვა მშვიდობის დაწერა ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, რაც სახალხო დიპლომატიის ფარგლებში, ჩვენი ქართული სამშვიდობო გზავნილი იყო აფხაზი და ოსი მეგობრების მიმართ და ნიშანი იმისა, რომ დროა, ერთმანეთის მიმართ მეგობრობის ხიდი გავდოთ! მოგახსენებთ, რომ 2004 წლის შემდეგ, ეიფელის წინ მდებარე ,,მშვიდობის კედელს,, 5-ჯერ ვესტუმრე, ბოლოს ფრანგები დამპირდნენ, რომ მისი რესტავრაციის შემდეგ, მონუმენტზე 49 ენის გვერდით მშვიდობას ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე დააწერენ (კავკასიური ენებიდან მხოლოდ სომხურად წერია).

ძალიან საინტერესოა, შვედი ავტორ კარლ ფედერიკ რეუტსვარდის ლულაგაკოჭილი რევოლვერი ,,არა ძალადობას,, რომლის მონუმენტი გაეროში (აშშ) დგას, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მომივიდა აზრად, რომ გამეკეთებია მაკეტი და ასეთი რევოლვერის წინ მოპირდაპირედ დამედგა ლულაზე ბოქლომდადებული რევოლვერი ,, არა ომს, არა კვლას,, რომელიც დიდ სახელმწიფოებთან შედარებით სუსტი და პატარა ქვეყნებისათვის, თუგინდ საქართველოს მაგალითზე აიხსნება შემდეგნაირად, რომ ჩვენ ქართველები თავს არავის ვესხმით, ხოლო სხვის მიერ თავდასხმის შემთხვევაში ,,ბოქლომის მოხსნაც ამას ნიშნავს,, მზად ვართ თავდაცვისათვის და ბოლომდე ვიბრძოლოთ ჩვენი ტერიტორიის, ყოველი კვადრატული მეტრისათვის ! ორი რევოლვერის ასეთი კომპოზიცია, არქიტექტორების გიორგი კიკვაძესა და მალხაზ შალამბერიძეს დახმარებით რევოლვერები ჩამოვასხით და ავკრიბეთ მათ სახელოსნოში დაფებზე, რომლის გარშემო მშვიდობა მსოფლიოს მრავალ ენებზე წერია. აღნიშნული კომპოზიცია მშვიდობისათვის საჩუქრად გადავეცით საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავჯდომარეს, ამერიკისა და იაპონიის საელჩოებს , გაეროს ოფიისს თბილისში, თბილისისა და ქუთაისის მერიებს, უცხოეთში გავუგზავნე რუსეთის პრეზიდენტს ბ-ნ ვლადიმერ პუტინს, ისრაელის პეზიდენტს შიმონ პერესის მშვიდობის მუზეუმისათვის, საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონსა და რომის პაპს, ჩემი კლუბის წევრმა მარიამ ადამიამ ნორვეგიის პრემიერს, რომ გადაეცეს ოსლოში ნობელის მშვიდობის მუზეუმს, რაც ფინანსურად საკმაოდ ძვირი დაჯდა განსაკუთრებით საფოსტო გზავნა, სამწუხაროდ დახმარება სახელმწიფოდან ვერ მივიღეთ, მხოლოდ ნაწილობრივ გურამ შვანგირაძემ, ჩვენმა მეგობარმა დაგვეხმარა. ვაპირებთ კიდევ გავაგზავნოთ იმ ქვეყნებში, სადაც მოხდა ტერორისტული აქტები, ინგლისში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში, მშვიდობის მხარდაჭერის ნიშნად.

ყოველივე ამის შემდეგ, მოხდა გამოხმაურებები საინტერესო ადამიანებიდან, კერძოდ: მადლობის წერილი ჩამომივიდა საფრანგეთის პრეზიდენტისაგან, რომელსაც როგორც ახალ პრეზიდენტს საჩუქართან ერთად წერილში ვთხოვე, რომ პარიზის მშვიდობის კედელი უთუოდ უნდა გაიხსნას და მასზე მშვიდობა ქართულ ენაზეც დაეწეროს ! მადლობის წერილი ჩამომივიდა ასევე ვატიკანიდან, რომის პაპისაგან, რომელიც წერილში მადლობას მიხდის საჩუქარისათვის და აღნიშნავს, რომ უთუოდ ლოცვებში მომიხსენიებს მშვიდობისათვის ბრძოლაში ძლიერი შემართებისათვის ! ხოლო ჩემი კლუბის წევრს მარიამ ადამიას კი მადლობის წერილი ნორვეგიის პრემიერისაგან ჩამოუვიდა, რამაც ახალგაზრდა ქალბატონს დიდი მუხტი შესძინა, რომ გაამართლოს ჩვენი ,,მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბი ,,LLL,,-ის წევრობა და იბრძოლოს მშვიდობისათვის ! ჩვენი კლუბის წევრებისათვის საამყოა ჩემი ავტომობილი, რომელზეც მშვიდობა მსოფლიოს 22 ენაზე წერია, კლუბი ენთუზიაზმითა და გრანტების გარეშე ძლივს ვახერხებთ მშვიდობის პროპაგანდას, რაც საამაყოა !

წერილის დასასრულს, მე როგორც რიგითმა ქართველმა მინდა ჩვენი ორგანიზაციის სახელით მშვიდობა ვუსურვო საქართველოს, ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ, აზერბაიჯანელ და მსოფლიოს მშვიდობის მოსურნე ხალხს, ხოლო გაზეთ ,,პოსტ სკრიპტუმის,, რედაქციას კი მადლობას ვუხდით, რომელიც უყოყმანოდ აშუქებს სამშვიდობო თემატიკებს !

იმედია ევროკავშირის წარმომადგენლობა დაინტერესდება ,,2 რევოლვერის სამშვიდობო კომპოზიციით,, და ასევე ჩვენს კლუბს გაუწევს ფინანსურ დაგვეხმარება, რომ სისრულეში მოვიყვანოთ პირველად მსოფლიოში მშვიდობა მრავალ ენებზე დაწერილი ,, მშვიდობის ბურთის,, მონუმენტის იდეა, რომელიც რეგისტრირებული მაქვს საქპატენტში და მის დადგმაზე ქუთაისის მერიის მიერ გაცემულია თანხმობა, რომ ჩემივე იდეით დაარსებულ ,,მშვიდობის მოედანზე,, ქუთაისში ტორპედოს სტადიონთან ,,მშვიდობის ბურთის,, მონუმენტი დაიდგას !

P.S. მადლობას ვუხდით მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ბ-ნ ვაჯა ჯუღელსა და მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის დირექტორს ბ-ნ გიზო თავაძეს, რომელთა მხარდაჭერითა და ჩემი იდეით 21 სექტემბერს მსოფლიო მშვიდობის დღეს, აღნიშნულ პარკში ,,მშვიდობის ხეივანი,, გაიხსნა, სადაც ფინანსების არსებობის შემთხვევაში ,, 2 რევოლვერის სამშვიდობო კომპოზიციის,, მონუმენტს მშვიდობის მხარდასაჭერად დავდგამთ ! მშვიდობის პროპაგანდით, ვფიქრობ ქუთაისი მიიღებს ,,მშვიდობის ქალაქის,, სტატუსს !

ბესიკ ადამია

მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბ „LLL“-ის პრეზიდენტი, პუბლიცისტი

ნატო ქათამაძე: „სანამ არჩევნებზე ხალხის მისვლა დამოკიდებული იქნება პარტიების კოორდინატორებზე, არაფერი შეიცვლება ქვეყნაში“

ქუთაისის საკრებულოს წევრი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს აფასებს.

ნატო ქათამაძე ჯერჯერობით მოქმედი საკრებულოს წევრია, წელს მან სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილებსა მიიღო და მიუხედავად მრავალწლიანი პოლიტიკური ბიოგრაფიისა, არჩევნებში მომაწილეობაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, სურდა, პროცესებს გარედან, მაყურებლის თვალით დაკვირვებოდა.

გთავაზობთ მის შეფასებას:

„წელს ბევრი ისეთი რამ დავინახე, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდი. სერიოზული პრობლემა, როგორც ამომრჩეველში, ასევე - პოლიტიკურ პარტიებში. 35: არის ძალიან დაბალი მაჩვენებლელი. ეს იყო ყველა პოლიტიკური პარტიის აქტივობით მიყვანილი ხალხის რაოდენობა. ამ 35:- დან ძალიან ცოტა იყო მისული სამოქალაქო პასუხისმგებლობით. ძალიან მდორედ მიმდინარეობდა პროცესი. სანამ სავალდებულო არ გახდება არჩევნებზე მისვლა, სანამ არჩევნებზე ხალხის მისვლა დამოკიდებული იქნება პარტიების კოორდინატორებზე, არაფერი შეიცვლება ქვეყნაში.

პოლიტიკური პარტიებიც არ იკლავდნენ აქტივობით თავს, შოუებით და პიარებით და აუდიტორიებში ლექციების კითხვით გამოირჩეოდნენ. ამომრჩეველიც გაზარმაცდა და მივიღეთ ის შედეგი, რაც გვაქვს.

ვაშაძის გადაწყვეტილებას რც შეეხება, რომ უარი თქვეს მეორე ტურში მონაწილეობაზე, ამ გადაწყვეტილებით მან იმ 27%-ს არ სცა პატივი, ვინც ხმა მისცა. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა,რომ ვაშაძე ქუთაისში ჩამოვიდა არა მერობისთვის, არამედ იმისთვის,რომ საკრებულოში შეეყვანა ხალხი.“ - განაცხადა ნატო ქათამაძემ.

ლიკა დევდარიანი

სტატია ქვეყნდება "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთის" ერთობლივი პროექტის – "შენი მუნიციპალიტეტი, შენი ხმა" ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, "საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია" და ასოციაცია "დემოკრატიული აღმოსავლეთი" არ არიან პასუხისმგებელები მასალის შინაარსზე

DEMOCRATIC SOCIETY EAST
RiTA Region in Transition
GRMA

სპეციალურმა კომისიამ ბორჯომის ხეობაში ნახანძრალი ტერიტორია შეისწავლა

ბორჯომის ხეობაში აგვისტოს თვეში ნახანძრალ ტერიტორიაზე კომისიამ საველე გასვლა განახორციელა. კომისიამ ხანძრით დაზიანებული ტერიტორიები დეტალურად შეისწავლა და დაადგინა 2017 წლის 20 აგვისტოს ხანძრით მოცული ტერიტორიის ზუსტი ფართობი, დაზიანების კატეგორიების მიხედვით, არსებული ნიადაგური და გეოლოგიური მდგომარეობა ნაკვეთების მიხედვით, ტერიტორიაზე არსებული განადგურებული ფლორა/ფაუნა და მიყენებული ზიანი.

შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდება დასკვნები და რეკომენდაციებინახანძრალ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის დაწყების პროცესებზე, განსახორციელებელი ღონისძიებების ვადებსა და პერიოდზე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით სექტემბერ-ოქტომბერში ხანძრით დაზიანებულ ტერიტორიაზე წინასწარი შეფასებებიც განხორციელდა.

კომისია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა და მის შემადგენლობაში ეროვნული სატყეო სააგენტოს, გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი პროფილის სპეციალისტებთან ნერთად, არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებიც შედიან.

ბორჯომის ხეობაში ხანძარი მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გაჩნდა, ხანძრის ქრობის პროცესი 6 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. წინასწარი მონაცემებით, ნახანძრალი ფართობი 752 ჰა-სშეადგენს, საიდანაც 525 ჰა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ხანძრით განადგურებული ტყის ტერიტორიაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები იმერეთში

იმერეთის რეგიონში „ქართულ ოცნებას" საკრებულოს 194 მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება, 12 მუნიციპალიტეტიდან 11-მა მერობის კანდიდატმა გამარჯვება პირველივე ტურში მოიპოვა, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მომავალი მერის ვინაობა მეორე ტურში გაირკვევა.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სახელით, 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იმერეთში მერობის 12, ხოლო საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის 199 კანდიდატი მონაწილეობდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, მერის პოსტზე ყველა გამარჯვებული მმართველი გუნდის კანდიდატია;

არჩევნების მეორე ტური ჩატარდება ქუთაისში, სადაც მოსახლეობას არჩევანის გაკეთება „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატ გიორგი ჭიღვარიასა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს შორის მოუწევს. არჩევნების პირველ ტურში გიორგი ჭიღვარიამ ხმათა 48.66% დააგროვა, გრიგოლ ვაშაძემ კი - 27.04%.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იმერეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრა ციულ ცენტრებში მოსახლეობამ ერთის ნაცვლად, რამდენიმე მაჟორიტარი, გამგებლის ნაცვლად კი - ქალაქის მერი აირჩია.

11 მუნიციპალიტეტში ხმების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნა- ირად გადანაწილდა: ხარაგაულში მერობის კანდიდატებიდან 7 948 ამომრჩევლის ხმა მიიღო **ნიკოლოზ თოფურიძემ,** რაც ჯამში 65.78: -ია;თერჯოლაში 11 612 ხმით **ბონდო სოფრომაძემ** გაიმარჯვა (60.71%); საჩხერე - **ბენიამენ ფალავანდიშვილი** 18 649 ხმა (88.21%); ზესტაფონი - **კახაბერ მახათაძე** 12 543 ხმა (54.7%); ბაღდათი - **არჩილ გოგსაძე** 7 206 ხმა (63.08%); ვანი - **ალექსანდრე გოგორიშვილი** 9 844 ხმა (71.33%); სამტრედია - **ვალერიანე ფოცხვერია** 11 684 ხმა (55.87%; ხონი - **ლადო ჯურხაძე** 7 952 ხმა (56.48%); ჭიათურა - **პაატა ნადირაძე**11 623 ხმა (62.45%); ტყიბული - **თემურ ჩუბინიძე** 6 554 ხმა (60.74%); წყალტუბო - **გრიგოლ იოსელიანი** 11 926 ხმა (52.75%);

რაც შეეხება საკრებულოს დეპუტატებს, 12 მაჟორიტარულ ოლქში, „ქართული ოცნების" 199 კანდიდატიდან, ხმათა უმრავლესობა 194-მა კანდიდატმა მოიპოვა. ოპოზიციური პარტიებიდან გამარჯვებულია 5 კანდიდატი: ხარაგაულის 48-ე მაჟორატარულ ოლქში 1 კანდიდატი „შენების მოძრაობიდან", ხონის მაჟორიტარულ ოლქში - 3 კანდიდატი „ევროპული საქართველოდან" და ტყიბულის მაჟორიტარულ ოლქში - 1 კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან";

თუ აქამდე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებს საკრებულოში ერთი მაჟორიტარი ჰყავდათ, მორიგი არჩევნების შემდეგ საკრებულოებში მათი რიცხვი გაიზრდება. მაგალითად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო 34 წევრისგან შედგება. აქედან, 19 მაჟორიტარული, ხოლო 15 პროპორციული წესითაა არჩეული. თერჯოლის თემის 19 მაჟორიტარს დაემატება ერთი, რომელსაც ქალაქ თერჯოლის მოსახლეობა აირჩევს. შესაბამისად, თერჯოლის საკრებულო 35 წევრისგან დაკომლექტდება. ეს ცვლილება იმერეთის რეგიონში მხოლოდ 3 მუნიციპალიტეტს არ შეეხო. ესენია ვანი და ხარაგაული. ასევე, არ იზრდება მაჟორიტარების რიცხვი ქალაქ ქუთაისში, სადაც მოსახლეობამ ისევ 10 მაჟორიტარი დეპუტატი აირჩია.

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა. საქართველოში რეგისტრი- რებული 3 440 123 ამომრჩევლიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 569 992-მა ამომრჩეველმა. ამომრჩეველთა აქტივობამ 45.64 : შეადგინა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მაღალი აქტივობა რაჭა-ლეჩხუმში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი აქტივობა - ქვემო ქართლში.

პირველი ტურის შედეგად, მუნიციპალიტეტის მერები 4 თვითმმართველ ქალაქში და 54 თემში აირჩიეს. ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, ქალაქ ქუთაისის გარდა, არჩევნების მეორე ტური ასევე გაიმართება ბორჯომის, ხაშურის, ყაზბეგის, მარტვილისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

შტეფან დიომპკე:
„ბაგრატის ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა,რ რადგან მთავრობამ არ გაითვალისწინა იუნესკოს რეკომენდაციები"

ქუთაისში მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის თემაზე სემინარი გაიმართა, რომელიც გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია "World Heritage Watch"-ის მიერ იყო ორგანიზებული. ორგანიზატორების მიზანია რეგიონულ დონეზე მსოფლიო კულტურული მემკივიდრეობის ღირებულებებზე ცნობიერების ამაღლება და ამ საქმეში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა.

ღონისძიება განკუთვნილი იყო მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საკითხებით დაინტერესებული აუდიტორიისთვის, სამოქალაქო საზოგადოების, კულტურისა და საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.

სემინარს უძღვებოდნენ „World Heritage Watch"-ისა და საქართველოში მისი პარტნიორი ორგანიზაციის, "ლურჯი ფარის" საქართველოს ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელები, შტეფან დიომპკე და მანანა თევზაძე.

მოხსენებება ეხებოდა შემდეგ თემებს: „იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება" ; სამოქალაქო საზოგადოების როლი მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის საქმეში საქართველოში".

შეხვედრაზე ინტერაქციული სესია დაეთმო გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის თემას.

შტეფან დიომპკემ ბაგრატის ტაძრის იუნესკოს სიიდან ამოღების ფაქტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. თუმცა, მისივე თქმით, საქართველოს მთავრობამ იუნესკოს რეკომენდაციები არ გაითვალისწინა, რამაც ძეგლის ავთენტურობის დაკარგა გამოიწვია.

"სამწუხაროდ, იუნესკოს არ შეუძლია რომელიმე სახელმწიფოს დააძალოს გინდა თუ არა ასე გააკეთე. ის მხოლოდ რეკომენდაციით შემოიფარგლება, რომელსაც კონკრეტული ქვეყ ანა იზიარებს ან არ იზიარებს. რაც მიამატეს ბაგრატის ტაძარს, არ იყო ავთენტური და შესაბამისად, ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა, რადგან მთავრობამ არ გაითვალისწინა იუნესკოს რეკომენდაციები", - ამბობს შტეფან დიომპკე.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღებულია. მიმდინარე წლის 9 ივლისს, კომიტეტმა ბაგრატი საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხიდანაც ამოიღო, რომელშიც ტაძარი მისი რეაბილიტაციის შემდეგ აღმოჩნდა. მისთვის კვლავ სტატუსის მინიჭება კი აღარ მოხდა.

გერმანელმა მომხსენებლმა, აგრეთვე იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იუნესკო დატოვა, ბიუჯეტზე ეს ფაქტი 22 :-ით აისახა. იუნესკოში გაწევრიანებული ქვეყნები საწევრო გადასახადს იხდიან. ამერიკამ კი ეს ორგანიზაცია იუნესკოში პალესტინის გაწევრიანების მიზეზით დატოვა. პალესტინის იუნესკოში გაწევრიანებას ორგანიზაციის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

შტეფან დიომპკე ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე "მაკდონალდსის" მშენებლობის თემასაც შეეხო და განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მოედნის ტერიტორია მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არ იყო, ის ქალაქის ისტორიული ნაწილია და ამიტომ რაიმე რეგულაციები უნდა ყოფილიყო.

„გერმანულ არასამთავრობო ორგანიზაცია"World Heritage Watch — ერთად ვახორციელებთ საინფორმაციო კაპანიას "მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მნიშვნელობაზე" და იმაზე, თუ რა როლი აქვს ამ საკითხში ადგილობრივ თემს. შეხვედრები ტარდება საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამივე ძეგლის სესახებ, ესენია: გელათის მონასტერი; ზემო სვანეთის ჩაჟაშის თემი და მცხეთის მონასტერი. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, რასაც ხელს შეუწყობს ჩვენი ორგანიზაცია."- განაცხადა ლურჯი ფარის ეროვნული კომიტეტის დირექტორმა მანანა თევზაძემ.

შეგახსენებთ, პროექტის ფარგლებში სემინარები ჩატარდება ასევე მესტიასა და მცხეთაში.

პროექტის დონორია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ლიკა დევდარიანი

ლილი ნუცუბიძე 90 წლის გახდებოდა...

მოგონებები დიდ პოეტ ქალზე

ყველა ქალაქს, რაიონს, სოფელს ჰყავს გამორჩეული და დასამახსოვრებელი სახე. ასეთი გამორჩეული ადამიანი გახლავთ ქალბატონი ლილი ნუცუბიძე ქუთაისისთვის, რომელსაც რამდენიმე დღის უკან, 21 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდებოდა...

ქალი-დედა,ბებია,პოეტი.რომელიც დააკლდა ჩვენს ბებერ ქალაქს. პირადად მე მქონდა ბედნიერება, პირადად შევხვედროდი მას წლების უკან. მამიდა ბიბლიოთეკაში მუშაობდა, ერთ-ერთ იუბილეზე მოიწვიეს ქალბატონი ლილი.მაშინ ვერც კი ვაცნობიერებდი, რამდენად დიდი პიროვნების წინაშე ვიდექი და ვკითხულობდი მის ლექსს. ახლა, წლების შემდეგ მომეცა შესაძლებლობა, გამეხსენებინა და შემეხსენებინა საზოგადოებისთვის ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ლილი ნუცუბიძე ქუთაისში დაიბადა და სიცოცხლის ბოლომდე ამ ქალაქში მოღვაწეობდა. ლილი ნუცუბიძე ავტორია რამდენიმე ათეული პოეტური კრებულის. მის ლექსებზე ქართველ კომპოზიტორებს ორმოცდაათზე მეტი სიმღერა აქვთ აჟღერებული...

"ადამიანები მოვდივართ ქვეყნად და ბოლოს მივდივართ უსასრულობაში, მაგრამ არიან ღმერთის რჩეულები, რომლებიც მოდიან და რჩებიან. ისინი მუდმივ ადგილს იმკვიდრებენ ადამიანთა გულებში, ლექსებში, სიმღერებში და მათი სახელები უკვდავებას ეზიარებიან. ასეთ რჩეულთა შორის გახლავთ ცნობილი პოეტი ქალი, ქ-ნი ლილი ნუცუბიძე, - ასე ახასიათებს **კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი** მრავალი სიმღერის ტექსტის ავტორს.

"საყვარელო მამულო, შენს სიცოცხლეს ვფიცავარ, გულმა მხოლოდ შენი მზე, შენი მიწა იწამა" - ეს ის სიტყვებია, რომელიც ქალბატონმა ლილიმ "გულზე ამოიქარგა" და მთელი საქართველო აამღერა.

რეზო სულავა, ჩოხოსანთა საზოგადოების საღროშოს ხელმძღვანელი იხსენებს: ქალაქ ქუთაისში ვიყავით, ბაგრატის ტაძარი მოვინახულეთ, ქალბატონი თინა იყო ჩვენი მასპინძელი. მის სახლში ერთი ლამაზი ფოტო შევამჩნიეთ, კედელზე ეკიდა და მასზე გამოსახულ ქალბატონს ყურადღება მივაქციეთ. მაშინ ვერ მივხვდით, რომ ის ქალბატონი პოეტი ლილი ნუცუბიძე იყო.

იმ დღეს ქუთაისის დრამატულ თეატრსაც ვეწვიეთ, თორნიკე მარჯანიშვილმა მიგვიღო. ოთახში ერთი ძველი, დაშლილი წიგნი იდო. მასში მრავალი ამღერებული ლექსი ამოვიკითხე. მოგვიანებით, ისიც აღმოვაჩინე, რომ პოეტი, რომლის ლექსებითაც ასეთი აღფთოვანებული დავრჩი, ჩვენი მასპინძლის, თინათინ მაჭავარიანის დედამთილი იყო.

თბილისში დაბრუნებულმა ეს ისტორია "საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებას" ვუამბე და ძველი, დახეული კრებულის საფუძველზე ახლის გამოცემაც შევთავაზე. ასე შეიქმნა ულამაზესი ლექსების კრებული სახელწოდებით, "რაც გულზე ამოვიქარგე"...

მშობლიურ ქუთაისსა და სამშობლოზე შეყვარებულ ქალბატონს ყველა დიდ პატივს სცემდა..ლილი ნუცუბიძეს სხვადასხვა დროს ეკავა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის, ქუთაისის ბიბლიოთეკების ქსელისა და დასავლეთ საქართველოს ბიბლიოთეკების ქსელის დირექტორის თანამდებობა. იყო მრავალი საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა ქალთა ორგანიზაციებში.ის იყო ადამიანი, რომელიც შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს,

ნათესავებს, რძლებს და ა.შ. ქვეყნის ტრფობის მაგალითს აძლევდა ... ადამიანი, რომელსაც ყველას და ყველაფრის სიყვარული შეეძლო...

კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია: ჩემს წარმოსახვაში ქალბატონი ლილი ახალგაზრდა, ძალზე ქალური, სუსტი აღნაგობის, ქერათმიანი, ცისფერთვალება და ნაზი, ლამაზი ტემბრის ხმით მოსაუბრე უნდა ყოფილიყო... თუმცა.

მრავალი წლის წინ, ჩემმა ქალიშვილმა ლექსების ცისფერყდიანი პატარა კრებული მომიტანა. თითოეული ლექსი, რაც ამ წიგნში ამოვიკითხე, სიმღერა იყო, ვკითხულობდი და თან ვმღეროდი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ხშირად ლექსი ძალიან პოეტურია, გამართული, მშვენიერი, მაგრამ სიმღერის შესქმნელად არ გამოდგება. ამ პატარა კრებულში კი ყველა ლექსი სიმღერისთვის იყო განკუთვნილი. ლექსებით აღფრთოვანებულმა იმ დღესვე შევქმენი რამდენიმე სიმღერა. მიხარია, რომ ამ სიმღერებს - "ქვეყანა ჩემი მგონია", "მე შენთან მოვალ", "აბა, მითხარ, სად წავიდე" და მრავალ სხვას დღემდე სიამოვნებით მღერიან.

როდესაც ქალბატონმა ლილიმ მის ლექსზე შექმნილი სიმღერა მოისმინა, წერილი გამომიგზავნა, მადლობას მიხდიდა. ტელეფონის ნომერიც მიაწერა სამომავლო კონტაქტისთვის. მაშინვე გადავრეკე. გაოგნებული დავრჩი, უხეში ხმა რომ მოვისმინე. ქალბატონ ლილის სთხოვეთ- მეთქი, ამოვილუღლუღე. ლილი ვარო, მიპასუხა. ჩემი ვინაობის გარკვევის შემდეგ კი ის უხეში ხმა ლამის ყურმილში გამოძვრა და შემომყვირა, - ნუნუ, ახლა აქ რომ იყო, ერთი ვაჟკაცურად ჩაგკოცნიდიო. - მე კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან... მაგრამ როცა ისიც მითხრა - სამი ვაჟის დედა ვარ და დღესაც სიყვარულით ვიწვიო, აი, მაშინ კი ყურმილი მართლა ხელიდან გამივარდა.

ქალბატონ ლილის ქუთაისში შევხვდი, ქალაქის ცენტრალურ პარკში. ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის გახსნაზე ვიყავი. გვერდით საშუალო ასაკის, ენერგიულმა ქალბატონმა ჩამიარა. მწერალთა მაშინდელ თავმჯდომარეს დაელაპარაკა და უკან მობრუნდა. ინტუიციით მივხვდი, რომ ეს ქალბატონი ლილი უნდა ყოფილიყო. როგორც კი მომიახლოვდა, გავბედე და შევაჩერე, - თქვენ ლილი ნუცუბიძე ბრძანდებით-მეთქი, ვკითხე... მე ნუნუ ვარ გაბუნია, - წარვუდგინე ჩემი თავი მისი დასტურის შემდეგ.

- ნუნუ გაბუნია? ასე ახალგაზრდა? ვერ დავიჯერებ... - მიპასუხა ლილიმ. კარგა ხანს ვუმტკიცებდი, რომ მე მე ვიყავი. ბოლოს კი მითხრა, - მეც არ გამიკვირდა, ეს მეფისტოლა ქალი ვინ გამაჩერაო?!

აი, ასე შედგა ჩვენი ნაცნობობა და შემდეგ უკვე მეგობრობა.

დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში, არ უცხოვრია მეფურად, მაგრამ დატოვა პოეზია,რომლის თითოეული სტროფი სიმღერაა და დააქვს ქარს ქუთაისის ქუჩებში მიმობნეული ფოთლებივით. დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან, ისინი სამუდამოდ იკავებენ ადგილს თითოეული ჩვენგანის გულში.

„შენს უბეში მშობლიური მიხმობს სითბო,
მომეძალა წარსულ დღეთა ნოსტალგია,
შენს ქუჩებში დადის ჩემი სიყვარული,
ქუთაისო, გელათო და სათაფლია.
ჩემო სისხლო, ჩემო ძვალთა სალაგო,
შენ მეფეთა სამყოფელი აკი გქვია,
საქართველოს გულთა გულო იმერეთო,
ქუთაისო, გელათო და სათაფლია!“

მოამზადა ნატო ყურაშვილმა

„ქალები საქართველოდან“ - ქუთაისში შრომითი მიგრანტების შესახებ ფილმის ჩვენება გაიმართა

ქუთაისის დემოკრატიის სკოლის ოფისში რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმის „ქალები საქართველოდან" ჩვენება გაიმართა.

დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს ქალების შესახებ, რომლებიც არალეგალურად მუშაობენ ამერიკაში და გამომუშავებულ ფულს ოჯახებს საქართველოში უგზავნიან. ფილმი აღწერს ქართველი ქალების ცხოვრებას ნიუ იორკში და ნიუჯერსიში. ყოველ მათგანს აქვს განსხვავებული ისტორია და მოტივაცია.

ეს ქალები არიან დედები, ცოლები, დები, შვილები და ამასთანავე, ისინი არიან "ცივილიზებული მონები", რომლებიც გააზრებულად სწირავენ თავიანთ ცხოვრებას საკუთარ ოჯახებს.

ფილმის ჩვენება იმართება საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის ტურის - ადამიანის უფლებების ფარგლებში, პროექტის მხარდამჭერია ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველო.

„დღევანდელი ფილმი ეხებოდა შრომით მიგრანტებს, მათ ყოველდღიურ ყოფას და იმ პირობებს თუ პრობლემებს, რასთანაც მათ უწევთ გამკლავება“- განაცხადა ანა ციმიტიამ ფესტივალის კოორდინატორმა.
„ თვითონ ემიგრაციის თემა არის ძალიან აქტიური, ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს ფილმი ქუთაისში გვეჩვენებინა. რაც უფრო მეტი ადამიანი ნახავს ამ ფილმს, იქნება უკეთესი, რადგან ის რეალობა, რომელიც ემიგრანტებს უცხო ქვეყანაში ხვდებათ, იქნება უფრო აღქმადი.“- გვითხრა მარიკა ვაჭარაძემ, ფესტივალის რეგიონალურმა კოორდინატორმა.

ორგანიზატორების თქმით, ფესტივალის ფარგლებში ფილმების ჩვენება გაიმართაება რეგიონებში და მუნიციპალიტეტებშიც.

ლიკა დევდარიანი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ბ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**